

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 13 აპრილის სხდომის
ოქმი N8

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 8

ქ. ხონი

13 აპრილი, 2018წელი

2018 წლის 13 აპრილს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. სხდომას საკრებულოს 28 წევრიდან ესწრებოდა: კობა კუბლაშვილი, ნანა ბახტაძე, ჯუნგლი გოდერიძე, ალიკო ვეკუა, ზაზა რუხაძე, ზაზა ვაშაკიძე, არჩილ საღარაძე, მაკა ტაბიძე, მათე ჩანქელიანი, ტარიელ ბარაბაძე, ლია ღაჭავაძე, დავით ჯიშკარიანი, თამაზი ცაგარეიშვილი, ია სულუხია, ნაზიბროლა გეგია, ნუგზარ გორდულაძე, ირაკლი ბახტაძე.

სხდომა დაიწყო: 12 საათზე.

სხდომა დასრულდა: 12:30 საათზე.

დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 მარტის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
მომხსენებელი: ილია ყუფარაძე - მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.
2. ხონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექციისათვის ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კალათბურთის ფარების თხოვნების ფორმით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელი: ნანა ფაილოძე - მერიის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვის და მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 მარტის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ილია ყუფარაძე მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 მარტის #58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექციისათვის ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კალათბურთის ფარების თხოვნების ფორმით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ნანა ფაილოძე მერიის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვის და მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს: ხონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექციისათვის ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კალათბურთის ფარების თხოვების ფორმით, გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.


მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვლისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:  ვალერი ბაზტაძე

სხდომის მდივანი:  მაია ბობოხიძე